



მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის  
ბიუჯეტი

**მოქალაქის გზამკვლევი**

2023 წელი, დეკემბერი

## შინაარსი

|                                                                          |    |
|--------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი .....                                                           | 3  |
| მოკლე ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტის შესახებ .....                   | 4  |
| საქართველოს საბიუჯეტო სისტემა.....                                       | 6  |
| საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ..... | 11 |
| საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში .....                                | 13 |
| მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი .....                 | 15 |
| ბიუჯეტის შემოსულობები.....                                               | 15 |
| ნაშთის ცვლილება .....                                                    | 18 |
| ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით .....       | 19 |
| მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები .....                         | 22 |
| ინფრასტრუქტურის განვითარება .....                                        | 23 |
| დასუფთავება და გარემოს დაცვა.....                                        | 26 |
| განათლება .....                                                          | 27 |
| კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღმესტიისძიებები.....                   | 28 |
| მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა .....           | 31 |

## შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღმესტიისძიებების შესახებ. გზამკვლევაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღმესტიისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ საჯაროობას.

ბიუჯეტის გზამკვლევი მოიცავს მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო 2023 წლის 15 ნოემბრისთვის, რომელიც საკრებულოს მიერ დაუბრუნდა მერიას. ბიუჯეტის პროექტის განახლებული ვარიანტი წარედგინა საკრებულოს 10 დეკემბრისთვის. წარმოდგენილი გზამკვლევი სწორედ ბიუჯეტის პროექტის ამ ვარიანტს ასახავს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს. კაპიტალური ტრანსფერი მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახება მას შემდეგ რაც საქართველოს მთავრობა მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2024 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 3 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის გზამკვლევაში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევაში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2023 წლის 11 თვის მდგომარეობით არსებულ სურათს. წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasury სისტემაში 2023 წლის 1 დეკემბერს მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს და განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში ან 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები.

## მოკლე ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტის შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრი — დაბა მესტია.



მესტიის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანია. მის ტერიტორიაზე არსებული მსხვილი ოროგრაფიული

ერთეულებია: კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, სვანეთის ქედი, ეგრისის ქედი, კოდორის ქედის ნაწილი და მდინარე ენგურის ხეობა. ტერიტორია — 3045 კვ.კმ., მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 1010 კვ.კმ. რაიონში 200-მდე მცინვარია, რომელთა საერთო ფართობია 285 კვ.კმ. მთავარი მდინარეა ენგური, მისი შენაკადები — ადიშისჭალა, მულხრა, დოღრა, ნენსკრა, იფარი, ხაიშურა და სხვა. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა ბარიტი, მარმარილო, ტყვია-თუთია, მინერალური წყლები.

მესტია - მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. დაბა - 1968 წლიდან. მდებარეობს მდინარეების მესტიაჭალა და მულხურას ნაპირებზე, ზღვის დონიდან 1500 მ. იცის ცივი ზამთარი და ხანმოკლე ზაფხული. მესტია მდებარეობს თბილისიდან 456კმ, ხოლო ზუგდიდიდან 128 კმ-ზე. ზუგდიდთან მესტია დაკავშირებულია საავტომობილო გზით. მესტიაში 2010 წელს თამარ მეფის სახელობის აეროპორტი გაიხსნა, სადაც რეისები ნატახტარიდან და ქუთაისიდან სრულდება.

სვანეთი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ჯერ კოლხეთის, შემდეგ ეგრისისა და აფხაზეთის (და საქართველოს) სამეფოების შემადგენლობაში შედიოდა, ბოლოს ფეოდალურ მონარქიაში კი როგორც საერისთავო. მე-16-ე საუკუნეში სვანეთის საერისთავო დაიშალა და ბაღს ქედს ქვემოთ შეიქმნა დადგმქელიანთა სამთავრო, რომელშიც ქვედა ხევებთან ერთად შედიოდა კოდორის-დაღის ხეობა, მდინარეების: ბახსან-ჩეგენ-ჩერეკის და ყუბანის ხეობათა სათავეები, ხოლო ბაღს ზემოთ ხევები ცალკეულ თემებად დაიშალა. სვანებმა ქრისტიანობა ლაზიკასთან ერთად 523 წელს მიიღო და ამიტომ სვანებისათვის სალიტერატურო ენად იმთავითვე საერთო ქართული ენა ითვლებოდა. სვანები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ძველი და ახალი სამეფოების ცხოვრებაში. შავლიანები აფხაზეთის მთავრები და მეფეები იყვნენ, ხოლო ფარჯიანები, ვარდანძეები და გელოვანები იწოდებიან როგორც სვანეთის, ოდიშისა და გურიის ერისთავებად, აგრეთვე ერთიანი საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესებად და მანდატურთუხუცესებად.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში სვანეთის საბოქაულოს სახელით, 1921-დან — ზემო სვანეთის მაზრა, 1930-დან — მესტიის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოა საკრებულო, აღმასრულებელი ორგანო — მერი, რომელსაც ხელმძღვანელობს პირდაპირი არჩევნების გზით არჩეული მუნიციპალიტეტის მერი. მუნიციპალიტეტში 135 დასახლებული პუნქტია, მათ შორის, 1 დაბა და 134 სოფელი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტში არის 9,3 ათასი მოსახლე. სიმჭიდროვე — 5 კაცი/კმ<sup>2</sup>-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67კაცი/კმ<sup>2</sup>) საგრძნობლად ჩამოუვარდება.

მკაცრი კლიმატისა და მთიანი რელიეფის გამო უპირატესად განვითარებულია მეცხოველეობა, რომელიც საკვები ბაზაა ბუნებრივი სათიბ-სამოვრები მნიშვნელოვანი. მცირე რაოდენობით ითესება მარცვლეული კულტურები და კარტოფილი. მესტიის მუნიციპალიტეტი ტურიზმისა და ალპინიზმის კერაა — აქ გადის მაღალმთიანი ტურისტული მარშრუტები ნაკრის, ბეჩოს, ლეხზირისა და ლატფარის უღელტეხილებზე.

მე-19-ე საუკუნის ბოლოს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 200-მდე ეკლესია-მონასტერია, ეს ეკლესია-მონასტრები თანამედროვე საქართველოს კულტურის საუნჯე და საგანძურია.

მესტია ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლია. აქ კარგადაა შემონახული შუა საუკუნეების საერო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობები. საკულტო ნაგებობათაგან აღსანიშნავია: მაცხოვრის (მაცხვარიშ) ქვით ნაგები ორსართულიანი ეკლესია (XIII-XIV სს.), რომლის კედლებსაც მაღალოსტატურად მოხატული ფრესკები ამკობს; ღვთისმშობლის (ლამარია) ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები) მოხატულობითა და წარწერებით; სეტის წმინდა გიორგის სახელობის და ფუსტის ეკლესიები. შემონახულია აგრეთვე სვანური სახლ-სიმაგრეები - გალავნით შემოზღუდული ერთიანი კომპლექსი, რომელშიც შედის კოშკი, მასზე მიდგმული სახოვრებელი (მაჩუბი) და სამეურნეო დანიშნულების სხვა შენობები. მესტია მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. მათგან აღსანიშნავია სვიმონ მესვეტის ხატი (XI ს., მაცხოვრის ეკლესია), საკურთხევის წინა ჯვარი და მაცხოვრის ხატი (მთავარანგელოზთა ეკლესია). მესტიის სვანეთის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ქართული ჭედური ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში, ძველი ქართული ენისა და მწერლობის უძველესი ძეგლები (ადიშის ოთხთავი, 897, და სხვა).

მესტიის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://mestia.gov.ge/ge>

## საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget“) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დემესტიის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.


საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დემესტიის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება შესაბამისი დემესტიის საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ.

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.

ბიუჯეტების სიდიდისა და პროპორციის ვიზუალური აღქმისთვის ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკი #2-ზე. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის 84%-ს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, 1%-ზე ოდნავ მეტია აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამური სიდიდე ნაერთი ბიუჯეტის 15%-ია, საიდანაც ქ. თბილისის ბიუჯეტი - 6%, ხოლო დანარჩენი 9% ნაწილდება 65 მუნიციპალიტეტზე.

გრაფიკი #2





გზამკვლევაში ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დემესტიის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართველობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.


ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია

დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2022 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 82% იყო (გრაფიკი #3).

*გრაფიკი #3*


**მუნიციპალიტეტების 2022 წლის ნაერთი შემოსულობები საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობების მიხედვით (თანხა მლნ ლარი)**



გრაფიკი #4-ზე მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2022 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითადად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.



**მუნიციპალიტეტების 2022 წლის საკუთარი შემოსულობების სტრუქტურა**  
(თანხა მლნ ლარი)



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (საკუთარი შემოსავლების - 52% და ნაერთი შემოსავლების - 38%), რომელმაც როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:


საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დემესტიის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალურ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნება.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავაერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიეკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზიები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები. შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #5-ზე მოცემულია 2021 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პრიპორცია.

*გრაფიკი #5*

**მუნიციპალიტეტების 2022 წლის ნაერთი შემოსავლები ძირითადი წყაროების მიხედვით (თანხა მლნ ლარში)**



## საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთანა დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანმესტიის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანმესტიის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დმესტიის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დმესტიის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო

ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დემესტიის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დემესტიის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დემესტიის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

## **საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში**

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #6-ზე.

*გრაფიკი #6*






## მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

### ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2024 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 4 წლის მიხედვით.

გრაფიკი #7




მესტიის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და განათლების დმესტიისმინებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები. ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2024 წლის მაჩვენებელი გაუტოლდება გასული წლის მაჩვენებელს.

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება

მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.


გრაფიკი #8

მესტიის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა



გრაფიკი #9

მესტიის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების წილი მთლიან შემოსავლებში




საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 10,4 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 19,5 მლნ ლარს შეადგინს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 90% შეადგინა. 2019 წლამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისთვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლების ზრდა კავშირშია ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის მესტიის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

ვინაიდან 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს 2024 წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #10-ზე ანალიზისათვის წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა.


*გრაფიკი #10*

**მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ტრანსფერები**



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლები მესტიის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წილობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 12% (3,700.0 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 1% (250.0 ათასი ლარი). მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #11-ზე:

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები




ნაშთის ცვლილება

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:


მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2021-2024 წლებში



## ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით


მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები (10 დეკემბრის მდგომარეობით) განსაზღვრულია 21,6 მლნ ლარით (გრაფიკი #13).

გრაფიკი #13




გრაფიკებში #14-#15 მოცემულია 2021-2024 წლებში მესტიის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #16 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 4 წლის მიხედვით (2021-2024 წლები).


გრაფიკი #14



**მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით**  
(2021-2024 წლებში. %-ულად მთლიან ხარჯებში)



**მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2021-2024 წლებში**  
(ათას ლარში და %-ში)






2024 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

| მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები | გეგმა ათას ლარებში |
|---------------------------------------------------------|--------------------|
| მმართველობა                                             | 8,207.0            |
| ინფრასტრუქტურა                                          | 3,607.0            |
| დასუფთავება და გარემოს დაცვა                            | 1,808.8            |
| განათლება                                               | 2,216.4            |
| კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი                         | 3,313.1            |
| ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა                      | 2,411.2            |
| <b>სულ ასიგნებები</b>                                   | <b>21,563.4</b>    |

გრაფიკი #17




ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტზე და მასში შემავალ პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია გზამკვლევის შემდეგ ნაწილში.

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 8,207.0 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 38,1%-ს შეადგენს. 2021-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკი #18-ზე.

გრაფიკი #18




2024 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

### მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება - 2024 წელი

|                                                                     | ათასი ლარი     |
|---------------------------------------------------------------------|----------------|
| <b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>                   | <b>8,207.0</b> |
| საკრებულო                                                           | 1,602.0        |
| მერია                                                               | 5,320.1        |
| სარეზერვო ფონდი                                                     | 380.0          |
| მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა                               | 355.4          |
| კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა                         | 35.5           |
| თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა | 7.0            |
| აიპ ახალგაზრდული თვითმმართველობა                                    | 507.0          |


მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19



### ინფრასტრუქტურის განვითარება

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 17% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 3,607.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2021-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #20-ზე.




2024 წლის ბიუჯეტის პროექტით პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

**ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება - 2024 წელი**

ათასი ლარი

|       | პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება      | სულ     | საკუთარი სახსრები | სახელმწიფო ფონდები |
|-------|------------------------------------------|---------|-------------------|--------------------|
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურა                    | 200.0   | 200.0             |                    |
| 02 02 | წყლის სისტემები                          | 150.0   | 150.0             |                    |
| 02 03 | გარე განათება                            | 457.0   | 457.0             |                    |
| 02 04 | სარწყავი არხები და ნაპირსამაგრები        | 200.0   | 200.0             |                    |
| 02 05 | კეთილმოწყობა                             | 800.0   | 800.0             |                    |
| 02 06 | რგვ თანადაფინანსება                      | 1,000.0 | 1,000.0           |                    |
| 02 07 | საპროექტო დოკუმენტაცია და ზედამხედველობა | 800.0   | 800.0             |                    |

## ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის პროგრამები - 2024 წელი



**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების** პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაციას, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის წილი დაახლოებით 22-25%-ს შეადგენს, რომელიც მოიცავს თანადაფინანსებას, გზების რეაბილიტაციას, მიმდინარე შეკეთებას და მოვლა პატრონობას. სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა ხორციელდება საჭიროებებიდან გამომდინარე მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- ხიდების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა და შენახვა.

**წყლის სისტემების განვითარების** პროგრამა - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახალი სისტემების


მშენებლობა. აღნიშნული პროგრამა ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

**სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია** - მესტიის მუნიციპალიტეტში ხშირია ბუნებრივი სტიქიური პროცესები და რისკების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ისეთი საპრევენციო ღონისძიებების სისტემატური განხორციელება, როგორიცაა ნაპირდამცავი გაბიონებისა და ჯებირების მშენებლობა, გზის საყრდენი კედლების მშენებლობა და რეაბილიტაცია ლეღებისა და ხევების განტვირთვა-გაწმენდა ღვარცოფებისა და მეწყერის შედეგად ჩამოტანილი ნაშალისაგან. სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება.

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 8% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1,808.8 ათას ლარს შეადგენს. 2021-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #22-ზე.

გრაფიკი #22




მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება **დასუფთავება და დასუფთავება და კეთილმოწყობის პროგრამა** - პროგრამა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის

ცნობიერების გაზრდას გარემოს დასუფთავებასთან და დაცვასთან დაკავშირებით, დასუფთავების სერვისით მომსახურეობის უზრუნველყოფას: კონტეინერების განთავსება საჭირო ადგილებში, მათი ნაგვისგან დაცლა გრაფიკისა და საჭიროების მიხედვით, დაბა მესტიაში ქუჩების დაგვა/დასუფთავება, ცენტრალური გზის პირებზე (უშგული-მესტია და მესტია ჯვარის ცენტრალური გზა ჩანჩქერამდე) ნარჩენების შეგროვება და გატანა. ზაფხულში დაბა მესტიის შიდა გზებზე ქუჩების რეცხვა/მტვრისგან განთავისუფლება. ზამთრის პერიოდში ამავე შიდა გზების თოვლისგან გაწმენდა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს დაბა მესტიის შიდა გზებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა.

## განათლება

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 2,216.4 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 4 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის (10 დეკემბრის მდგომარეობით) მონაცემები, წინა წლებისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებასა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამებს, რომლებლთა დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ტრანსფერით.

გრაფიკი #23






განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2024 წლის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის დაფინანსებას, რომელიც მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და მათი ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღმზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს: 24 საბავშვო ბაღი. რეგისტრირებულია 419 აღსაზრდელი, სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 195 თანამშრომელი, შტატგარეშე-3 და 32 სოციალური პროგრამით დასაქმებული.

### კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღმესტიისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 3,313.1 ათასი ლარს, რაც ბიუჯეტის ასიგნებების 15.4%-ია.

გრაფიკი #24




პრიორიტეტის ფარგლებში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 4 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

| კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები |                                  | ათასი ლარი |
|------------------------------------------------|----------------------------------|------------|
| 05 01                                          | სპორტის განვითარების ხელშეწყობა  | 1256.0     |
| 05 02                                          | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 1327.1     |

|            |                                                                |                |
|------------|----------------------------------------------------------------|----------------|
| 05 03      | ახალგაზრდობის მხარდაჭერა                                       | 270.0          |
| 05 04      | აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ | 460.0          |
| <b>სულ</b> |                                                                | <b>3,313.1</b> |

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამების ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 78%-ია.

გრაფიკი #25



სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:

| <b>კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღმესტიისძიებები</b> |                                     | <b>ათასი ლარი</b> |
|----------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------|
| 05 01                                                    | სპორტის განვითარების ხელშეწყობა     | 464.0             |
| 05 02                                                    | კულტურის განვითარების ხელშეწყობა    | 933.0             |
| 05 03                                                    | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 100.0             |
| 05 04                                                    | ახალგაზრდობის მხარდაჭერა            | 107.0             |
| <b>სულ</b>                                               |                                     | <b>1,604.0</b>    |

სპორტის განვითარების ხელშეწყობის - პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი დაფინანსება
- აქტიური ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა

სპორტული სკოლების გაერთიანების დაფინანსება - სპორტული ცენტრი ემსახურება მუნიციპალიტეტის მაშტაბით სპორტის 12 სახეობას (სასკოლო ასაკის ფარგლებში). კერძოდ:

მიუდო, კრივი, მკლავჭიდუ, სამთო-სათხილამურო სპორტი, სნოუბორდი, სამბო, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, ფეხბურთი, ფრენბურთი, საციგაო სპორტი. აღნისნულ სახეობებში ჯგუფები ფუნქციონირებს ს. ხაისიდან - ს. უსგულამდე. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 115 თანამშრომელი, მათგან 60 მწვრთნელი. მუნიციპალიტეტის მაშტაბით, აღნისნულ სპორტულ აქტიობებში ჩართულია 360 აღსაზრდელი, მათგან 70 გოგონა. სპორტული ცენტრი უზრუნველყოფს აღსაზრდელთა მაქსიმალურ ჩართულობას სპორტულ პროცესებშუ, როგორც სავარჯიშო, ასევე საშეჯიბრო თვალსაზრისით. თვითოეულ სახეობაში ეწყობა სხვადასხვა მაშტაბის სპორტული ღონისძიებები (შეჯიბრებები). ასევე აღსაზრდელები მონაწილეობენ გასვლკით ღონისძიებებშიც, როგორც საქართველოს მაშტაბით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ს. იფარში, ს. მულახში, დ. მესტიაში, ს. ლენჯერში, ს. ლატალში, ს. ფარში, ს. ხაიშშიდა ს. ნაკრეში ფუნქციონირებს შესაბამისი ხარისხის სპორტ - კომპლექსები და სპორტული დარბაზები. ასევე სპორტული მოედნებიც..

**აქტიური ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა** - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: აქტიური სპორტსმენების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, საზღვრებს გარეთ ასპარეზობის შემთხვევაში მათი ფინანსური მხარდაჭერა

**კულტურის განვითარების ხელშეწყობის** პროგრამის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბიბლიოთეკების, კულტ-სახლების განვითარება და პოპულიზაცია. ასევე ისტორიული ძეგლების აღრიცხვა, შენარჩუნება და რეაბილიტაცია.

**ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი** - ცენტრში მესტიის მუნიციპალიტეტის მაშტაბით ფუნქციონირებს 1 დაბა მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი და 8 ტერიტორიული ერთეულის კულტურის ცენტრი, დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 130 მოსწავლის სწავლება. კულტურის და ხელოვნების ცენტრში დაწესებულებებში დასაქმებულია 117 თანამშრომელი. ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის მომსახურებით სარგებლობს 175 ახალგაზრდა, ააიპ კულტურის და ხელოვნების ცენტრი უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ხელოვნების და კულტურული დარგების მიწოდებას. ააიპ-ის ფუნქციონირების ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია სწავლება შემდეგ დარგებში: ხატვა რეწვა, გობელენი, თექა, აპლიკაცია და კოლაჟი, ხის მხატვრული დამუშავება, ფორტეპიანო, სოლფეჯიო, ქართული ხალხური ცეკვა, ქართული ხალხური სიმღერა, ქართული ხალხური საკრავები, გიტარა, ვოკალი, სასცენო მეტყველება, სასცენო მოძრაობა, პანტომიმა, მსახიობის ოსტატობა, მხატვრული კითხვა.


**ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა** - მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 ბიბლიოთეკა: მესტიის მთავარი ბიბლიოთეკა საბავშვო ბიბლიოთეკა და 13 სასოფლო ბიბლიოთეკა. საბიბლიოთეკო დაწესებულებაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი. ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ბიბლიოთეკებისთვის სკოლებთან თანამშრომლობა. სამომავლოდ განსაზღვრულია სოფლის ბიბლიოთეკების თანამედროვე

სტანდარტებზე გადასვლა, შრომითი პირობების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება.

### მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისთვის ითვალისწინებს 2,411.2 ათასი ლარს, რაც ბიუჯეტის ასიგნებების 11,2%-ს შეადგენს.


გრაფიკი #26



2024 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 73% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 27% .

გრაფიკი #27

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2024



**საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** - ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი ახორციელებს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის გადამდები და არაგადამდები დაავადების ეპიდზედამხედველობას, კონტროლსა და პრევენციას; ერთიანი ლაბორატორიული სისტემის გამართული ფუნქციონერების მხარდაჭერას; ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი გარემოს საფრთხის შეფასებას; დღეის მდგომარეობით ცენტრი ემსახურება 14 სამედიცინო უბანს და რაიონულ საავადმყოფოს, სადაც ყოველთვიურად ხდება ვაქცინების გატანა.

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის მესტიის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 1,768.0 ათასი ლარის გამოყოფას. ამ თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)


|                                                                                          |                |
|------------------------------------------------------------------------------------------|----------------|
| მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა                                                       | 710.0          |
| სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება                                                  | 100.0          |
| უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა                                       | 55.0           |
| შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება                                       | 103.0          |
| მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების და მაჩუბების გადასახური მასალით უზრუნველყოფის პროგრამა | 800.0          |
| <b>სულ</b>                                                                               | <b>1,768.0</b> |

**მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** - სფეროებს. პროგრამების ძირითადი ნაწილი ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოწყვლადი ჯგუფის: სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ პირების და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური საჭიროებების

უზრუნველყოფას, როგორც სერვისის დაფინანსების, ასევე ფულადი დახმარების გაცემის გზით, გამომდინარე იქიდან, რომ – მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა.

**სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება** - პროგრამა ეხება სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახებს. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ხდება სოციალური დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, თანხის რაოდენობის განსაზღვრისას დახმარების გაცემის საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს: 1. ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა. 2. სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

გრაფიკი #28



**მშპ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება** - პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. მშობლების ცნობიერების ამაღლება. ასევე ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად,

პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა. პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა. ადრეული განვითარების პროგრამის მიზანია განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში მოხდეს დროული ინტერვენცია. შინ მოვლის სერვისი გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნელის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას.